


ახალ კორონავირუსთან (COVID-19) დაკავშირებული სოციალური სტიგმა

სოციალური სტიგმის პრევენციის და მართვის გზამკვლევი¹



სამიზნე აუდიტორია: სახელმწიფო, მედია ან ადგილობრივი საზოგადოება და ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ ახალ კორონავირუსთან (COVID-19).

რა არის სოციალური სტიგმა?



სტიგმა აღმოცენდება, როდესაც დაავადება ასოცირდება კონკრეტულ პოპულაციასთან (მაგ., ახალი კორონავირუსის (COVID-19) შემთხვევაში, აზიური წარმომავლობის პირები).



ეს კი ნიშნავს, რომ ეპიდემიოლოგებისა და ადამიანებისთვის იარაღების მიკერება, მათი სტერეოტიპიზაცია, იზოლაცია ხდება; ისინი განიცდიან დისკრიმინაციას დაავადებასთან ასოცირების გამო. ამან კი შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს როგორც მათზე, ვისაც აქვს დაავადება, ასევე მათ მომვლელებზე, ოჯახზე, მეგობრებსა და, მთლიანად, თემზე.

რატომ იწვევს ახალი კორონავირუსი (COVID-19) სტიგმას?

ახალი კორონავირუსის (COVID-19) ეპიდემიოლოგებამ პროვოცირება გაუკეთა სოციალურ სტიგმას და გამოიწვია დისკრიმინაციული ქცევა აზიური წარმომავლობის ადამიანების მიმართ. COVID-19 არის ახალი დაავადება, რომელსაც მრავალი დამაბნეველი ფაქტორი ახლავს თან: 1. არ ვიცით, თუ როგორ ვრცელდება ვირუსი; 2. არ ვიცით, როგორ ვუმკურნალოთ ინფიცირებულს; 3. არ ვიცით, თუ საიდან მოდის ვირუსი, რათა შევძლოთ მისი შეჩერება.

ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის არარსებობამ ან მისი გაგების სირთულემ შეიძლება გამოიწვიოს შიში ან პანიკა ინდივიდებში, რაც იწვევს ირაციონალურ ვარაუდებს და სხვების დადანაშაულების სურვილს.

გასაკვირი არ არის, რომ საზოგადოება შეიძლება მოიცვას დაბნეულობამ, შფოთვამ და შიშმა. სამწუხაროდ, ვხედავთ, რომ ეს ფაქტორები - დაბნეულობა, შფოთვა და შიში - ხელს უწყობს მავნე

¹ გზამკვლევი მოიცავს ჯონს ჰოპკინსის ცენტრის კომუნიკაციის პროგრამების, READY-ის ქსელის რეკომენდაციებს.

სტერეოტიპებისა და რასიზმის გავრცელებას. სულ უფრო ხშირად გვესმის ცნობები აზიელი, აზიური წარმომავლობის ადამიანების, გურისგების, სტუდენტებისა და გრძელვადიანი ბინადრობის მქონე პირებისადმი არასათანადო მოპყრობისა და დისკრიმინაციის შესახებ, იმ მცდარი წარმოდგენების გამო, რომ ისინი შეიძლება იყვნენ ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების წყარო.

რა გავლენას ახდენს სტიგმა?

სტიგმის ხელშემწყობმა და ქსენოფობიურმა დამოკიდებულებებმა შეიძლება შეამციროს სოციალური შემჭიდროებულობა და გამოიწვიოს სტიგმაგამბეული ჯგუფების სოციალური იზოლაცია. ამან კი, თავის მხრივ, შეიძლება ხელი შეუწყოს ვირუსის უფრო სწრაფ გავრცელებას, რადგან სტიგმა:

- აიძულებს ადამიანებს, დამალონ დაავადება, დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად;
- თავი შეიკავონ იმისგან, რომ დაუყოვნებლივ მიმართონ სამედიცინო დახმარებას;
- ხელს უშლის ჯანსაღი ქცევის ჩამოყალიბებას.

შედეგად ვიღებთ ჯანმრთელობის მეტად მწვავე პრობლემებს და დაავადების გავრცელების კონკროლის სირთულეებს.

როგორ უნდა ვებრძოლოთ სოციალურ სტიგმას?

კვლევებით დადასტურებულია, რომ სტიგმა და შიში გადამდები დაავადებების ირგვლივ აფერხებს რეაგირების პროცესს. რაც ეფექტურად მუშაობს, ესაა ნდობის ჩამოყალიბება შესაბამისი ჯანდაცვის სერვისებისა და მათი რეკომენდაციებისადმი, დაზარალებულებისადმი თანაგრძნობა, დაავადების შესახებ სწორი ინფორმაციის და ეფექტური პრაქტიკული ზომების მიღება, რისი საშუალებითაც ადამიანს შეუძლია დაეხმაროს საკუთარ თავს და ახლობლებს უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

შიშის, პანიკისა და სტიგმის თავიდან ასაცილებლად, გადამწყვეტ როლს თამაშობს ის, თუ როგორ ვსაუბრობთ COVID-19-ის შესახებ.

სიცივეები მნიშვნელოვანია:

როდესაც ვსაუბრობთ COVID-19-ის შესახებ, კონკრეტული სიცივეები (მაგ., საეჭვო შემთხვევა/ქეისი, იზოლაცია...) და ენა, რომელსაც ვიყენებთ, შესაძლოა, ნეგატიურ მნიშვნელობას აგარებდეს და აძლიერებდეს სტერეოტიპულ დამოკიდებულებებს, უსაფუძვლო ვარაუდებს და ასოციაციებს დაავადებისა და მის გარშემო არსებული ფაქტების შესახებ, ეს კი, თავის მხრივ, იწვევს შიშს იმ ადამიანების მიმართ, ვისაც აღენიშნება COVID-19 და ზრდის მათი

დეჰუმანიზაციის რისკს. როგორც აღენიშნეთ, ამდგვარმა დამოკიდებულებამ შეიძლება აიძულოს პირები, ვისაც აღენიშნება COVID-19, თავი აარიდონ სკრინინგს და კარანტინს.

სასურველია, გამოვიყენოთ „ადამიანი უპირველესად“ (“people-first”) მიდგომა - ანუ ენა, რომელიც ითვალისწინებს ადამიანების ღირსების პატივისცემას და მათ გაძლიერებას. ასევე მნიშვნელოვანია, ასეთივე ენა გამოვიყენოთ მედიამ, რადგან სწორედ მედიიდან გავრცელებულ პოპულარულ სიგეყებს და ენას აიგაცებს მოსახლეობაც ახალი კორონავირუსის შესახებ (COVID-19).

ქვემოთ მოცემულია კონკრეტული მაგალითები, თუ რა ენა უნდა გამოვიყენოთ სტიგმის თავიდან ასაცილებლად პანდემიებისა და ეპიდემიების კონტროლისთვის.²

² [UNAIDS გერმინოლოგიის სახელმძღვანელო](#): ‘AIDS victim’-დან ‘people living with HIV’-მდე; ‘fight against AIDS’-დან ‘response to AIDS’-მდე.

რისი თქმა შეიძლება და რისი არა ახალი კორონავირუსის

(COVID-19) შესახებ საუბრის დროს:

ისაუბრეთ ახალი კორონავირუსის შესახებ (COVID-19) უახლეს სამეცნიერო ფაქტებზე და ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებზე დაყრდნობით!

არ ახსენოთ დაავადების აღმოცენების ადგილი, რადგან ეს არ არის „ვუჰანის ვირუსი“, „ჩინური ვირუსი“, „აზიური ვირუსი“ ან სხვ.

ვირუსის ოფიციალური სახელი - ახალი კორონავირუსი (COVID-19) სპეციალურად შეირჩა სტიგმის თავიდან ასაცილებლად - CO - კორონა, VI - ვირუსი, D - დაავადება, 19 - რადგან დაავადება გაჩნდა 2019 წელს.

თქვით - „პირები, ვისაც აღენიშნება COVID-19“, „პირები, ვისაც შესაძლოა, აღენიშნებოდეს COVID-19“, „პირები, ვისაც მკურნალობენ COVID-19-ს“ ა.შ.

არ მოიხსენიოთ ადამიანები შემდეგი გერმინებით: „COVID-19-ის ქეისი/შემთხვევა“, „COVID-19-ის საეჭვო ქეისი/შემთხვევა“, ან „მსხვერპლი“.

ასევე არ გამოიყენოთ შემდეგი ფრაზები: „ადამიანები, ვისაც გადააქვთ COVID-19“, „ადამიანები, ვინც აინფიცირებენ სხვებს“, „ვირუსის გამავრცელებელი ადამიანები“, - ასეთი სიტყვები აქცენტირებს აკეთებს განზრახ გადაღებაზე და თითქოს ბრალდს სდებს პირებს, ვისაც აღენიშნება COVID-19; დამადანაშაულებელი და დეჰუმანიზირებელი გერმინების გამოყენება ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ისინი რაღაცას აშავებენ ან ვინმეზე ნაკლები ადამიანები არიან; ეს ასევე ქმნის თანაგრძობისგან დაკლილ, სტიგმის ხელშემწყობ გარემოს, რაც ქმნის რისკს, რომ ადამიანებმა აღარ მიმართონ სამკურნალო დაწესებულებებს, არ ჩაიგარონ სკრინინგი და არ წავიდნენ კარანტინში.

შეეცადეთ, არ გაავრცელოთ ჭორები, არ გამოიყენოთ გაზვიადებული, პათეტიკური ენა, რაც ხელს შეუწყობს შიშის გავრცელებას: „ეპიდემია“, „უბედურება“, „აპოკალიფსი“ ა.შ.

ისაუბრეთ პოზიტიურად პრევენციისა და მკურნალობის ხერხებზე, ასევე სკრინინგზე, ტესტირებაზე; ხაზი გაუსვით მათ ეფექტურობას, ასევე იმას, რომ უმრავლესობისთვის ეს ვირუსი დამარცხებადია.

ეს ის მცირე ნაბიჯებია, რისი გადაღმაც ყველას შეგვიძლია საკუთარი თავის, ჩვენი ახლობლების და განსაკუთრებული რისკის ქვეშ მყოფი ადამიანების დასაცავად.